სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/89

ქ. თბილისი 14 ივნისი 2024 წ.

თბილისში ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა №19 კორპუსის ფასადზე პროფესორ იური ლომიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ეთხოვოს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას თბილისში ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა №19 კორპუსის ფასადზე პროფესორ იური ლომიძის მემორიალური დაფის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**